ელკანა
ELKANA

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2020

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

With funding from
Austrian Development Cooperation
Brot für die Welt
bp
ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
ევროპის ფონდი
EUROPEAN COORDINATION VIA CAMPESINA
Food and Agriculture Organization of the United Nations
HEKS EPER
GRETA
მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა
GREEN ECONOMY: SUSTAINABLE MOUNTAIN TOURISM AND ORGANIC AGRICULTURE
AGROECOLOGY FUND
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვით-აქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“ თავის საქმიანობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ახორციელებს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიცა არიან EU, Brot für die Welt, HEKS, DANIDA, ევროპის ფონდი, BP, WB, UNDP, GEF, SDC, FAO, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 100-ზე მეტი პროექტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრო-ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანას“ საქმიანობის სფეროებია:

- კონსულტაციები და ტრენინგები ბიო-აგროწარმოების დარგში;
- აგრო-ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ბიოფერმერების, ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- პროდუქტის განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება, ტრადიციული სურსათის, ღვინის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება ბიო-აგროწარმოებისა და ტრადიციული ჯიშების მნიშვნელობის შესახებ;
- ფერმერთა უფლებების დაცვა.

ასოციაცია მუშაობს 2500-ზე მეტ ფერმერთან მთელ საქართველოში, მათ შორის ფერმერთა ჯგუფებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და სხვ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს როგორც მამაკაცებთან,ისე ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობები სამეგრელოში (ზუგდიდი), შიდა ქართლში (გორი), კახეთსა (დედოფლისწყარო) და მცხეთა-მთიანეთში (თიანეთი). გარდა ამისა, „ელკანა“ ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას ამუშავებს: ხეხილის, კენკროვანებისა და მარცვლეული კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანს“ სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო მეცხოველეობის ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).

„ელკანას“ ქსელები საქართველოში & ადგილობრივი / საერთაშორისო ქსელები / მოძრაობები, რომლებშიც გაწევრიანებულია „ელკანა“

National NGO networks:

- **GAARD** - ***Georgian Alliance on Agriculture and Rural Development*** (http://www.bridge.org.ge/en/projects/gaard)
- ***The Georgian National Platform*** (GNP of EaP CSF, https://eap-csf.ge/)

National Producers networks:

- **Federation of Georgian Producers** (http://employer.ge/sakartvelos-mtsarmoebelta-federatsia-dafudznda

Regional NGO networks:

- **Eastern partnership Civil Society Forum – EaP CSF** (https://eap-csf.eu/)
- **Black Sea NGO Forum** (https://blackseango.org/)

Rural Tourism Networks:

- **European Federation of Rural Tourism** (*eurogites.org)*

Agricultural biodiversity conservation networks:

- **SAVE – Foundation** (Safeguard for Agricultural Varieties in Europe, www.*save-foundation.net)*
- ***GENET - EUROPEAN NGO NETWORK ON GENETIC ENGINEERING*** *(https://www.genet-info.org/)*
- (https://www.genet-info.org/)

Farmers' movements / networks:

- **European Coordination La via Campania** (*eurovia.org)*
- European Food Sovereignty Network (*nyelenieurope.net)*

International Networks :

- ***IFOAM - Organics International*** (https://www.ifoam.bio/)
- ***Slow Food International*** (https://www.slowfood.com/)
- ***Bioversity International*** (https://www.bioversityinternational.org/)
- ***The Civil Society and Indigenous Peoples' Mechanism*** (CSM) for relations with the United Nations Committee on World Food Security (CFS, http://www.csm4cfs.org/)

ელკანას მიერ 2020 წელს განხორციელებული პროექტები

#	პროექტის სახელწოდება	ხანგრძლივობა	დონორ(ებ)ი
1.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	2018-2020	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
2.	ორგანული სოფლის მეურნეობის და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	ოქტომბერი 2019 – სექტემბერი 2023	ავსტრიის განვითარების სააგენტო
3.	ორგანული თხილის წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში	ივლისი 2018-ივნისი 2023	დანიის განვითარების სააგენტო, ჰექს-ეპერი (შვეიცარია)
4.	მომსახურეობის ხელშეკრულება „ორგანული მეურნეობა და სოფლის ტურიზმი პროექტისთვის GRETA“	2020	ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა
5.	მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე -3	ივლისი 2018 – დეკემბერი 2021	ბრიტიშ პეტროლიუმი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამა „ზრდა“
6.	მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ეკონომიკური განვითარებისთვის ჰეკს-ეპერ საქართველოსთან ერთად	ნოემბერი 2016-თებერვალი 2021	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
7.	სასოფლო-სამეურნეო / სასურსათო მწარმოებლებსა და ტურიზმის სექტორს შორის არსებული კავშირების გაუმჯობესების ხელშეწყობა	ივლისი 2020-დეკემბერი 2021	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია / ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
8.	აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ახალციხისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში	ოქტომბერი 2020-სექტემბერი 2021	ევროპის ფონდი
9.	ტრანს-სასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატ-გონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის	ნოემბერი 2020-ნოემბერი 2022	ევროკავშირის ერთობლივი პროგრამა შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის
10.	მწვანე ბაზრობა – ecomart.ge	2020	პროკრედიტ ბანკი
11.	გლეხების აგროეკოლოგია ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში	დეკემბერი 2019 – მაისი 2021	აგროეკოლოგიის ფონდი

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

ბიო და Rainforest Alliance-ის ჯგუფური სერტიფიცირების სისტემა

- **მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათის“ პროდუქცია ორგანული და UTZ/Rainforest Alliance-ის ჯგუფური სერტიფიკატების მფლობელი გახდა!**

„ელკანას“ წევრი ასოციაცია „კავკასნათი“ 2020 წლის იანვარში, რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის გამოცდილების მქონე, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ვანის მუნიციპალიტეტების 8 კოოპერატივისა და ფერმერთა ერთი არაფორმალური ჯგუფის ინიციატივით დაარსდა.

2020 წელი მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“ მნიშვნელოვანი სიახლით დაასრულა - ასოციაციამ 612 ფერმერზე აიღო UTZ/Rainforest Alliance, ხოლო 195 ფერმერზე - ევროკავშირში აღიარებული ორგანული ჯგუფური სერტიფიკატები.

ასოციაცია „კავკასნათის“ საწარმოო შესაძლებლობები ამ ეტაპზე 1300-მდე ტონა ნაჭუჭიან თხილს სწვდება, საიდანაც 2021 წელს 400-მდე ტონა ბიოსერტიფიცრებული იქნება. ასოციაცია დასავლეთ საქართველოს 700-მდე ფერმერთან მუშაობს, რომლებიც თხილის პლანტაციებს ორგანული და UTZ/Rainforest Alliance-ის სტანდარტების შესაბამისად მართავენ. ასოციაცია „კავკასნათი“ წევრების რაოდენობისა და წარმოების პოტენციალის ყოველწლიურად 20%-30%-ით გაზრდას გეგმავს.

CERTIFICATE

DOCUMENTARY EVIDENCE

The declared operator has submitted his activities under control, and meets the requirements laid down in mentioned standards. This certificate has been based on the basis of EC "Standard for Production, Processing, Labelling and Marketing of Organically Produced Foods" (EC Standard), which is equivalent to the requirements of Regulations (EC) No 834/2007, No 889/2008, No 1235/2008; and corresponds to the Codex Alimentarius organic norms. CAUCASCERT Ltd is accredited by DAkkS, Germany.

1.Document Number: 2020-102

2.Operator : Association Caucasnut, #158, Rustaveli street, 2114 Zugdidi, Georgia

3.Certification Body: CAUCASCERT Ltd, 24, Yuri Gagarin street, 0160 Tbilisi, Georgia

Registration Code of Operator: CC-AO-206-01

CAUCASCERT Code number: GE - BIO - 117

Scope/s of certification: A Unprocessed plant products

4.Product/s, Product Group/s, Activity/Activities: Group certification of hazelnut producers from 9 villages of three municipalities Zugdidi, Tsalenjikha and Vani with the total number being equal to 541 members and the number of the certified members being equal to 195. Certified 33,835.4 kg in-shell hazelnuts consolidated from 30 members Darchveli, Naraseni, Orsantia, Igali, and Koki of Zugdidi municipality and Peneta of Vani municipality. In-shell hazelnut production according to the annex.

5.Defined as: Organic

6.Validity period: This document is valid for all herein after named products from 20.11.2020 until 20.11.2021

7.Dates of controls: 17-22.07.2020 (Announced inspection of the farms) 19-21.08.2020 (Unannounced inspection of the farms) 07.10.2020 (Warehouse) 23.10.2020 (Group Meeting)

Date of issue: 28.11.2020

CAUCASCERT Ltd
David Bedoshvili, Director

This document is Master Certificate. In case of Exports it is the sole responsibility of Operator to obtain Certificate of Inspection from CAUCASCERT LLC before exporting.

GE - BIO -117

RAINFOREST ALLIANCE

CERTIFICATE

Code of Conduct Hazelnut

Based on an audit according to the regulations stated in the UTZ Certification Protocol version (December 2018) and a signed contract, Caucascert contracted on 2020-08-11 hereinth certifies that the areas/sites listed below are found in compliance with the UTZ Code of Conduct for Group certification and the Hazelnut module, Version (December 2018).

Validity of certificate:
2020-08-10 until 2021-08-10

Member information
Name: Association Caucasnut
Member Identification Number: MEGI_1200
Address: Rustaveli str. #158
2114 Darchveli
Georgia

Production information

Total certified area	Certified volume (2020)	Carry Over * (2019)
822.91 ha	1004560 KG In-shell hazelnut	0 KG

* Carry over: the physical stock remaining from the previous certificate and that is added to the volume of a producer or producer group.

Issued by
Certification Body: Caucascert
Certification Body certificate number: UZNNCC0201BC846
Name of Certifier: David Bedoshvili
Issue date of certificate: 2020-09-16
Caucascert is accredited for ISO 17065:2012 and approved by UTZ.

Certificate information

Site	Activity	Traceability Level
Central Location	Farming (including Group Management)	IP MB

Part of the RAINFOREST ALLIANCE

The certificate is proof of the compliance with the requirements of the UTZ Code of Conduct and related modules. The license validity dates can be verified in the UTZ traceability system: www.utz.org

- **თანამშრომლობა შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან**

რა

ბიოლოგიურ მეურნეობა ასოციაცია „ელკანასა“ და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც

შემუშავდა და ჩატარდა სერტიფიცირებული კურსი „შიდა კონტროლის სისტემის ბიო/UTZ/Rainforest Alliance-ის სტანდარტები, სერტიფიცირების პროცედურები და ფუნქციონირება - სერტიფიცირებული კურსი ინსპექტორებისათვის“. ტრენინგს სულ 25 მონაწილედაესწრო, რომელთაგან 17-მა კურსი წარმატებით დაასრულა . ტრენინგის შემდეგ 5 მონაწილე „ელკანამ“ შიგა ინსპექტორებად დაასაქმა.

სად

ტრენინგები ჩატარდა ქალაქ ზუგდიდში, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში

როდის

10-13 და 24-27 თებერვალს, 9-10 მარტს

- **დისტანციური ტრენინგები და კონსულტაციები ასოციაცია „კავკასნათის” წევრი მეთხილეებისათვის**



2020 წელს, კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ასოციაცია „ელკანამ“დისტანციური სწავლების სისტემა შეიმუშავა და დანერგა. თხილის ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური სამუშაოებისა და მცენარეთა დაცვის საკითხებზე მომზადდა 6 ვიდეოვებინარი. ვიდეოები გავრცელდა ასოციაცია „კავკასნათის“ ფეისბუქგვერდის მეშვეობით, რომელსაც 118 მომხმარებელი ჰყავს. პანდემიის ფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემაც გააქტიურდა, რომელიც ჯერ კიდევ 2019 დაინერგა - სისტემის გამოყენებით 2020 წელს ასოციაცია „კავკასნათის“ წევრების 86% თხილის ბაღში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციასა და ინსტრუქციას რეგულარულად იღებდა. ასევე, შიგა კონტროლის სისტემის ინსპექტორებისათვის 2 სინქრონული ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგი ბიომეურნეობის საკითხებზე

■ სემინარი - „ბიომევენახეობა“

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში ჩატარდა სემინარი „ბიომევენახეობა“. ადგილობრივი ფერმერები დიდი ინტერესით გაეცნენ ვაზის მოვლა-მოყვანის ბიომეთოდებს, მავნებლებისა და დაავადებების არსებობის შემთხვევაში ბიოპრეპერატებით ვაზის წამლობის რჩევებსა და მათი გამოყენების რეკომენდებულ განრიგს. ასევე, ფერმერებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მათთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხზეც გაეწიათ კონსულტაცია.

სად

სემინარი ჩატარდა ქალაქ ახალციხეში.

როდის

12 თებერვალს

.

■ ტრენინგები ორგანული სოფლის მეურნეობის საკითხებზე

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა ორგანული სოფლის მეურნეობის საკითხებზე სვანეთის, იმერეთისა და რაჭის ფერმერებისათვის 9 ერთდღიანი ტრენინგი ჩატარეს. ტრენინგებზე საუბარი იყო ორგანული სოფლის მეურნეობის რაობაზე, ძირითად პრინციპებსა და მეთოდებზე, ორგანული სერტიფიცირების შესაძლებლობებზე. ასევე განხილული იყო ორგანული სოფლის მეურნეობის როლი სოფლად

ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და შემოსავლების ზრდის საქმეში. ტრენინგებს სულ 202 ფერმერი დაესწრო.

სად

მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, საჩხერის, ჭიათურისა და ტყიბული მუნიციპალიტეტებში.

როდის

31 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე

■ ტრენინგი - ბიომევენახეობის საფუძვლები

რა

ასოციაცია „ელკანას“ ოფისში ჩატარდა 2 ერთდღიანი ტრენინგი - ბიომევენახეობის საფუძვლები. ტრენინგს ესწრებოდნენ ფერმერები, დარგის სპეციალისტები, საზოგადოების დაინტერესებული წევრები. კოვიდეპიდემიის გამო, დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდული იყო - სულ ტრენინგი 15 პირს ჩაუტარდა. ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ბიომევენახეობის არსი და პრინციპები; ნიადაგის დამუშავება და მისი ნაყოფიერების მართვა; ვაზის მავნებლებ-დაავადებები და მათი კონტროლი; ბიოპრეპარატები და ბიომეთოდები. დამსწრეებს დაურიგდათ ბროშურა „ქვევრის დამღები“.

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის

5, 19 ოქტომბერი

■ ტრენინგები - სასათბურე მეურნეობაში ჩასატარებელი სამუშაოები

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტმა მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3-ის ბენეფიციარებს სასათბურე მეურნეობაში ჩასატარებელი სამუშაოების საკითხებზე 2 ტრენინგი ჩაუტარა. ტრენინგის დამსწრეები გაეცნენ ინფორმაციას სათბურის პირობებში ნამყენის გამოყვანის, კომპოსტის დამზადების, თესლბრუნვისა და მულჩირების მეთოდების, შერეულ ნათესების წარმოებისა და მოვლის მეთოდების შესახებ. მონაწილეებს დაურიგდათ სამახსოვრო ფურცლები ყველა საჭირო რეკომენდაციით.

სად

გაიმართა 2 სოფელში: ვაზიანსა და ოკამში.

როდის

ოქტომბერში

■ დარგობრივი ტრენინგები თიანეთში

რა

თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ორგანული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე: ორგანული სოფლის მეურნეობის არსი, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოება, სურსათის უვნებლობის წესები და ბიოსერტიფიცირება. დაინტერესებულმა პირებმა „ელკანას“ კონსულტანტებისგან აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია მიიღეს, ასევე გაეცნენ სრჩევებს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. სულ 28 შეხვედრა ჩატარდა, რომლებსაც 166 ქალი და 149 მამაკაცი დაესწრო

სად

დაბა თიანეთში

როდის

გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე

■ ტრენინგი - კომბინირებული საკვების მნიშვნელობა და მისი დამზადება

რა

ასოციაცია „ელკანას“ მეცხოველეობის ექსპერტმა თამარ ნონიაშვილმა, მცირე ბიზნესის განვითარების პროექტ 3-ის ფარგლებში, პროექტის ბენეფიციარებისათვის გამართა ტრენინგი „კომბინირებული საკვების მნიშვნელობა და მისი დამზადება“. ტრენინგი დისტანციურად, Google Meet-ის მეშვეობით ჩატარდა და მას 4 მეწარმე ესწრებოდა. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს სამახსოვრო ფურცლები გადაეგზავნათ, სადაც ყველა რეკომენდაცია იყო ჩამოწერილი.



სად

შეხვედრები გაიმართა დისტანციურად, Google Meet-ის მეშვეობით.

როდის

ოქტომბერში

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

■ ეკოსახლი აგროპარკ - „ტერა ინკოგნიტას“ ტერიტორიაზე

რა

აგროპარკ „ტერა ინკოგნიტაში“, რომელიც ეკოაქტივისტებმა აჩიკო ბაჩიაშვილმა და ინგა ბაშიროვამ მოაწყვეს, ეკომეგობრული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვა და დემონსტრირება მიმდინარეობს. ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით თანამონაწილეობრივი პროექტი განხორციელდა: აგროპარკის ტერიტორიაზე მხოლოდ ეკოლოგიური ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებით აშენდა ეკოსახლი, სადაც შესაძლებელია როგორც ტურისტების მიღება, ისე სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიების მასპინძლობაც.

სად
ფშავში, სოფელ კანატიაში

როდის
დასრულდა შემოდგომის ბოლოს

■ ქარსაფარი ზოლის მოწყობა კენკრის ბაღში

რა
სოფელ ახალ მამუდლოში 2017 წელს შპს „ქართულმა კენკრამ“ 7 ჰა ფართობზე თანამედროვე კენკრის ბაღი გააშენა. ამ რეგიონში სარწყავი წყლის დეფიციტის პირობებში ხარისხიანი მაყვლის მოყვანა საკმაოდ რთულია და, ამასთანავე, ნაყოფს ცხელი ქარი სერიოზულად აზიანებს - მოსავლის დანაკარგი 30%-ს აღწევს. ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით კენკრის ბაღის პირას ქარსაფარი ზოლი გაშენდა და წვეთოვანი სარწყავი სისტემა მოეწყო. 170 მ-იან ქარსაფარ ზოლში ნაკვეთის ერთ მხარეს კიპარისის ნერგები 2 რიგად, ჭადრაკულად დაირგო. ქარსაფარ ზოლში მოეწყო წვეთოვანი საწრყავი სისტემა, რომელიც მაყვლის ბაღში არსებულ მაგისტრალურ სარწყავ სისტემას მიუერთდა.

სად
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალი მამუდლო

როდის
დასრულდა სექტემბერში
.

■ რძის მიმღების მოწყობა საკონსერვაციო ფერმაში

რა

„ელკანას“ შინაური ცხოველების საკონსერვაციო ფერმაში მოეწყო და, პირველადი წარმოებისათვის აუცილებელი სურსათის უვნებლობის მოთხოვნები შესაბამისად, რძის მიმღები ოთახი აღიჭურვა, რაც უვნებელი რძის წარმოებას უზრუველყოფს. რძის მიმღები „პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკას“ აკმაყოფილებს და დაინტერესებულ ფერმერებს შეუძლიათ, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ რძის მიმღებს ადგილზე გაეცნონ.

სად

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ხოდაშენი

როდის

დასრულდა ივლისში

■ ფერმერის დღე - ადგილობრივი კულტურების მოვლა-მოყვანა

რა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სოფელ წნისში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე სახელწოდებით „მარცვლეულის კიდობანი“, ჩატარდა ფერმერის დღე. ღონისძიების მიზანი იყო ფერმერებისათვის სადემონსტრაციო ნაკვეთის გაცნობა, აქ არსებული ხეხილის, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაცია ფერმერულ მეურნეობებში მათი დანერგვისა და შენარჩუნების ხელშეწყობისათვის. ფერმერის დღეს რეგიონის ფერმერები ესწრებოდნენ, რომლებმაც „ელკანას“ ნაკვეთი დაათვალიერეს, სადაც ითესება და მრავლდება მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, ასევე ხეხილის ადგილობრივი ჯიშები. მონაწილეებს გაეწიათ კონსულტაცია ამ კულტურათა წარმომავლობის, ბიოლოგიური თავისებურებების, გამოყენებისა და მოვლა-

მოყვანის ბიომეთოდების, ასევე, სათესლე და სარგავი მასალის ხელმისაწვდომობის შესახებ. ფერმერებმა დააგემოვნეს სადემონსტრაციო ნაკვეთზე მოწეული ახალციხის (მესხური) წითელი დოლის ხორბლისაგან გამომცხვარი პური და პარკოსანი კულტურებისაგან - ცულისპირას და ძაძასგან - მომზადებული კერძები. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მონაწილე ფერმერთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სად
ფერმერის დღე ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის
23 ივნისს

მცირე ფერმერთა ხელშეწყობა

- **ტრენინგი - ბიზნესგეგმის მომზადება**

რა
მცირე ბიზნესის განვითარების პროექტ 3ის ფარგლებში 8 ორდღიანი და 6 ერთდღიანი ბიზნესგეგმის წერის დისტანციური ტრენინგი ჩატარდა. 2-დღიან ტრენინგს სულ 122 მონაწილე ესწრებოდა, ხოლო დისტანციურ ტრენინგებს - 87 მონაწილე. დისტანციურ ტრენინგებზე გადასვლა პანდემიამ გამოიწვია. ტრენინგის შემდეგ კონკურსის მონაწილეებმა ბიზნესგეგმები წარმოადგინეს, რომელთა მიხედვით 70 კონკურსანტი შეირჩა და დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში 2020 წელს დაფინანსდა: აგრომომსახურების 31 ბიზნესი, 12 სახელოსნო, 7 წისქვილი, 7 სამკერვალო, 4 სათბური, ავტომომსახურების ცენტრი, ინკუბატორი, საცხობი, სილამაზის სალონი, ვეტაფთიაქი, გასართობი ცენტრი, ჩირის წარმოება, მაისურებზე ბეჭდვა და კოსმეტოლოგის კაბინეტი.

სად
გარდაბნის, მცხეთა-მთიანეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებში არსებულ 56 სამიზნე სოფელში და 4 იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში.

როდის
მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში



■ ტრენინგები - საგადასახადო საკითხებზე

რა

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტ 3-ის ფარგლებში, პროექტი II-ის ფარგლებში დაფინანსებული მეწარმეებისათვის საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებზე დისტანციური ტრენინგები ჩატარდა. სულ გაიმართა სამი ერთდღიანი ტრენინგი, რომლებზეც 166 მეწარმე იყო მოწვეული. ტრენინგის დროს მონაწილეებმა სავალდებულო წლიური დეკლარაციები შეავსეს და გაგზავნეს. ტრენინგის შემდგომ პროექტის რამდენიმე ბენეფიციარი მეზობლებსა და ნაცნობებს დაეხმარა, რათა მათ დეკლარაცია დროულად შეევსოთ და გაეგზავნათ.



სად

დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით

როდის

დეკემბერში

■ ტრენინგი - შრომის უსაფრთხოება და რისკის შეფასება

რა

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტ 3-ის ფარგლებში პროექტის თანამშრომლებისა და ბიზნესოპერატორებისათვის შრომის უსაფრთხოებისა და რისკისგან გამოწვეული ზიანის შემცირების საკითხებზე 4 ტრენინგი და 18 ინდივიდუალური კონსულტაცია ჩატარდა. ჯგუფურ ტრენინგებს პროექტის ფარგლებში დაფინანსებული აგრომომსახურების დარგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ხოლო ინდივიდუალური ტრენინგ-კონსულტაცია ადგილზე, სხვადასხვა ტიპის სახელოსნოებში გაიმართა. შრომის უსაფრთხოებისა და რისკის შემცირების ტრენინგ-კონსულტაცია პროექტის სულ 46 ბენეფიციარს ჩაუტარდა. ტრენინგ-კონსულტაციების შემდგომ პროექტის ყველა მონაწილეს სპეციალური სამახსოვროები გადაეცა. სამახსოვრო მოიცავდა შრომის უსაფრთხოების, რისკის შემცირების მოთხოვნებს, ასევე, COVID19-ის რეგულაციებსა და რეკომენდაციებს.

სად

გარდაბნის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებში.

როდის

სექტემბერში

■ ტრენინგი - სურსათის უვნებლობის რეგულაციები და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები

რა



მცირე ბიზნესის განვითარების პროექტ 3-ის ფარგლებში ჩატარდა დისტანციური ტრენინგი - სურსათის უვნებლობის რეგულაციები და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები. შეხვედრებს ექსპერტი გიორგი მიქაძე უძღვებოდა. ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: სურსათის უვნებლობის შესახებ არსებული საქართველოს კანონმდებლობა; სანიმუშო საწარმოო პრაქტიკა (GMP); სანიმუშო ჰიგიენის პრაქტიკა (GHP); საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP); დოკუმენტაციისა და ჩანაწერების ფორმები; დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები. ტრენინგს 5 მეწარმე დაესწრო, რომელთა საქმიანობაშიც სურსათის უვნებლობის საკითხები არის გასათვალისწინებელი.

სად

დისტანციურად, Google Meet-ის პლატფორმის მეშვეობით.

როდის

ნოემბერში

აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვა

■ სემინარი აგრარული ბიომრავალფეროვნების საკითხებზე

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში ჩატარდა სემინარი აგრარული ბიომრავალფეროვნების აღდგენის, შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზე. მას ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ. სემინარზე დიდი ყურადღება დაეთმო ორგანული წარმოებისა და ადგილობრივი კულტურების გამოყენების მნიშვნელობის განხილვას.

ფერმერები დიდი ინტერესით გაეცნენ „ელკანას“ მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ აღდგენილი ადგილობრივი ხორბლების - ახალციხის (მესხური) წითელი დოლისა და დიკას, პარკოსანი კულტურების - ცულისპირას, მუხუდოს, ცერცვის, ძაძას, აგრეთვე, ღომისა და სელის მოვლა-მოყვანის თავისებურებებს, გამოყენებისა და ბაზარზე რეალიზაციის შესაძლებლობებს. მათთვის ამ კულტურათა სათესლე მასალის ხელმისწვდომობის საკითხიც ასევე საინტერესო იყო.

სად
სემინარი ჩატარდა ქალაქ ახალციხეში.

როდის
12 მარტს

■ ვაშლის ადგილობრივი ჯიშების მყნობა

რა
25-26 აგვისტოს წნისში, „ელკანას“ სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანზე“ ჩატარდა ვაშლის ადგილობრივი ჯიშების მყნობა, რომელიც ოცდაათწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალმა მყნობელმა ქალებმა ზოია ოთანაძემ და ოფელია ანესიანმა ჩაატარეს: ნახევრად ნაგალა M-106 საძირეზე დაიმყნო 30 დასახელების ვაშლის ადგილობრივი ჯიში ნამყენის საერთო რაოდენობა - 896 ძირი.

სად
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის
25-26 აგვისტო

■ მარცვლეულის კოლექციის თესვა „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე

რა
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანზე“ საკოლექციოდ დაითესა გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ხორბლის ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები: დიკა, ჩელტა ზანდური, გვაწა ზანდური, მახა, კოლხური ასლი. გარდა ამისა, საქართველოში ასი წლის შემდეგ პირველად „ელკანას“

ნაკვეთის საწარმოო ფართობზე (0,70ჰა-ზე) დაითესა ქართული ხორბლის სახეობები მახა (ყველა რბილი ხორბლის წინაპარი) და კოლხური ასლი. მახასა და კოლხური ასლის თესლი დანიელ მეცნიერ ანდერს ბორგენისგან მივიღეთ, რომელთანაც „ელკანა“ ქსელის “Let’s Liberate Biodiversity” („გავათავისუფლოთ ბიომრავალფეროვნება“) ფარგლებში თანამშრომლობს. მას ქართული ხორბლის სახეობები სასელექციო მიზნებისთვის - დანიის კლიმატზე მორგებული ხორბლის ჯიშების შესაქმნელად მოჰყავს,

სად
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის
15-16 ოქტომბერი

■ ტრენინგი - აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ახალციხესა და თიანეთში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში ჩაატარეს 11 ერთდღიანი ტრენინგი თემაზე - „ბიოწარმოების მეთოდები, აგრარული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება“. ტრენინგზე საუბარი იყოს ამ რეგიონების აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე; ასევე, ადგილობრივი, ძველი ჯიშების შენარჩუნებისა და განვითარების მეშეობით მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებზე. ტრენინგებს სულ 110 ფერმერი დაესწრო.

სად
სამცხე-ჯავახეთში - ქ. ახალციხეში; მცხეთა-მთიანეთში - დაბა თიანეთში.

როდის
ნოემბერი-დეკემბერი

ბიოპროდუქციის და აგრარული ბიომრავალფეროვნების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ECOMART – online shop

2020 წლის მაისში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ინიციატივით და „პროკრედიტ ბანკის“ ხელშეწყობით დაფუძნდა ონლაინ-მაღაზია „ეკომარტი“, რომლის მიზანია ორგანული (ბიო) და ნატურალური პროდუქციის ერთ ონლაინ სავაჭრო სივრცეში თავმოყრა და მომხმარებლისთვის დადასტურებულად ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზება; ასევე, „ელკანას" შიგა კონტროლის სისტემისა და ბიოსერტიფიკატის მქონე ფერმერების პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, ქვეყანაში გარემოსადმი მეგობრული პროდუქციის წარმოების წახალისება და ამ მიმართულების პოპულარიზაცია, საზოგადოებაში ბიომეურნეობის შესახებ ცოდნის ამაღლება. „ონლაინ“ სავაჭრო პორტალ www.ecomart.ge-ს მიწოდების სერვისი გააჩნია, რაც მომხმარებლისთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დროს მოსახერხებელია.

პურის სახლი „თავთუხი“

იმერეთში, ქ. ქუთაისში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს პურის საცხობი, სადაც ხორბლის ადგილობრივი ჯიშებისგან მიღებული ფქვილით, ნატურალურ, ნედლ საფუარზე მოზელილი ცომისგან

ხარისხიანი, გემრიელი პური ცხვება. მასზე დიდი მოთხოვნა იყო, მაგრამ საცხობის მოძველებული აღჭურვილობა წარმადობის გაზრდის საშუალებას არ იძლეოდა. „ელკანას“ ხელშეწყობით საცხობმა თანამედროვე ცომსაზელი დაამონტაჟა; ასევე, „ელკანას“ ექსპერტებმა საცხობის მეპატრონეს საქმიანობის ფინანსური ეფექტიანობის გაზრდისა და ბიზნესგეგმის მომზადების საკითხებში კონსულტაციები გაუწიეს.

■ პურის ცხობა ენდემური ხორბლისგან

რა

„სლოუ ფუდის“ საერთაშორისო დღეს „ელკანას“ სათავო ოფისში პურის ცხობის მასტერკლასი და სადეგუსტაციო ღონისძიება მოეწყო, რომელსაც სხადასხვა დაინტერესებული მხარე ესწრებოდა: მცხობელები, ფერმერები, მეცნიერები და მხარდამჭერები. ღონისძიება პირდაპირი ეთერით ფეისბუქზე გადაიცემოდა. ამ ფორმატმა ფართო საზოგადოებას საშუალება მისცა, ღონისზიებაში მონაწილეობა მიეღო და მისთვის საინტერესო კითხვები დაესმვა, რომლებსაც პირდაპირ ეთერშივე დაუყოვნებლივ პასუხობდნენ. ღონისძიება და მისი ჩანაწერი, მოკლე ვიდეო რგოლის სახით, დაფიქსირდა „სლოუ ფუდის“ საერთაშორისო გამოფენაზე - Terra Madre, რომელიც, COVID-19-ის პანდემიის გამო, ონლაინ რეჟიმში არის ორგანიზებული.

https://terramadresalonedelgusto.com/en/scheda_espositore/biological-farming-association-elkana/

სად
„ელკანას“ სათავო ოფისში, პირდაპირი ეთერით ფეისბუქზე.

როდის
10 დეკემბერს

„ელკანას“ წევრების წარმატება

- **მარანი - „დო რე მი“**

ასოციაცია „ელკანას“ წევრის, მარან - „დო რე მის“ ქვევრში დაყენებული ღვინო რქაწითელი-მწვანე ამსტერდამში ჩატარებული ბუნებრივი ღვინისა და კერძების ფესტივალზე ქარვისფერი ღვინოების კონკურსის გამარჯვებული გახდა.

■ ასოციაცია „ჯარა“

ასოციაცია „ელკანას“ წევრის, ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის თაფლის მწარმოებელმა 18-მა მეფუტკრემ ბიოსერტიფიკატი მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ თავიანთი პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა შეუძლიათ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

■ გაცნობითი ტური „ელკანას“ სადემონსტრაციო ნაკვეთზე

7 ივლისს ასოციაცია „ელკანას“ ზემო ხოდაშენის სადემონსტრაციო ნაკვეთს საქართველოს გიდების ასოციაცია „ღვინისა და კულინარიული გიდის“ სასწავლო კურსის მსმენელები ესტუმრნენ. საკონსერვაციო მეურნეობაში მათი ვიზიტის მიზანი იყო კახური ღორის, კავკასიური წაბლასა და ქართული მთის ძროხების მონახულება აღნიშნული მეურნეობის ტურისტულ პროგრამებში ჩართვის მიზნით. მათ პერმაკულტურის დიზაინიც დაათვალიერეს. პროგრამის მენეჯერმა თამაზ დუნდუამ მათ საველე ტრენინგი ჩაუტარა, რომელზეც ილაპარაკა ქართული ხორბლის ადგილობრივი სახეობებისა და ენდემური ჯიშების, ასევე, პარკოსანი კულტურების შესახებ. შეხვედრისას მან ხაზი გაუსვა გასტრონომიული ტურიზმის განვითარების მნიშვნელობას. მეცხოველეობის ექსპერტმა თამარ ნონიაშვილმა

კი მსმენელებს ადგილობრივი საქონლის ჯიშების შესახებ უამბო. შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა დააგემოვნეს ძველი ქართული რეცეპტებით მომზადებული ცულისპირასა და მუხუდოს შეჭამანდი, ასევე, წითელი და თეთრი ბიოღვინოები.

■ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

15 აგვისტოს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასა“ და „საერთაშორისო კულტურის სივრცეს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მცირე მეურნეებსა და ადგილობრივ მეწარმოეებს ათასწლეულების მანძილზე შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების დაცვასა და შენარჩუნებაში შეუწყობენ ხელს.

■ ღვინის სოფელი

„ღვინის კლუბის“ საგანმანათლებლო პროექტ „ღვინის სოფლის“ ფარგლებში ასოციაცია „ელკანას“ მევენახეობა-მეღვინეობის ექსპერტმა იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის მევენახეებსა და მცირე მარნების მფლობელებს ბიომევენახეობისა და მეღვინეობის საკითხებზე 10 საკონსულტაციო ტრენინგიჩაუტარა . დამსწრეთაგან 25-მა მევენახემ ვენახის ბიომეთოდებით მართვაზე გადასვლა გადაწყვიტა.

სოფლის ტურიზმი

■ სოფლის ტურიზმის დაჯავშნის სისტემა



ამოქმედდა ასოციაცია „ელკანას“ დაჯავშნის სისტემა www.ruralbooking.ge. მან ფუნქციონირება სხვადასხვა რეგიონიდან 20 საოჯახო სასტუმრო სახლით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ „ელკანას“ ქსელში სოფლის დაახლოებით 200 სასტუმრო სახლია გაერთიანებული, COVID-19-ის პანდემიის გამო, მუშაობის გასაგრძელებლად პანდემიასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება მხოლოდ ამ 20-მა შეძლო, ვებგვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს და 2021 წელს ახალი ობიექტების განთავსება იგეგმება.

■ ტრენინგების კურსი თიანეთში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ტურიზმის ბიზნესში ჩართული პირებისათვის ჩაატარეს ორი 4-დღიანი ტრენინგკურსი თემაზე „სოფლის ტურიზმი“. ტრენინგს 25 პირი დაესწრო, მათ შორის, 11 ქალი. ტრენინგი მოიცავდა თეორიულ პრეზენტაციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს. დამსწრეებს საშუალება მიეცათ, პრაქტიკული რჩევები ადგილზე მიეღოთ და ერთმანეთისათვის გამოცდილება გაეზიარებინათ.

სად

თიანეთის მუნიციპალიტეტი, დაბა თიანეთი

როდის

გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე

■ ტრენინგი დედოფლისწყაროს ტურიზმის ბიზნესში ჩართული პირებისათვის

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა კახეთში, სასტუმრო „ლოპოტა სპა რეზორტის“ სატრენინგო დარბაზში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ტურიზმის ბიზნესში ჩართული პირებისათვის ჩაატარეს 3-დღიანი ტრენინგი თემაზე „სოფლის ტურიზმი“. ტრენინგს 12 პირი დაესწრო, მათ შორის, 5 ქალი.

სად

კახეთი

როდის

20-22 ივლისი

■ ტრენინგი იმერეთის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობისათვის

იმერეთის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტურიზმით დაინტერესებული პირებისათვის ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა ჩაატარეს 3-დღიანი ტრენინგკურსები თემაზე „მდგრადი ტურიზმი“. კოვიდის პანდემიის გათვალისწინებით, ტრენინგების ნაწილი ვებინარების ფორმატში ჩატარდა, რისთვისაც 11 სხვადახვა თემატური ვიდეო მომზადდა და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა.







■ ტურიზმის განვითარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

ევროკავშირის ENPARD II-ის პროექტს „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის (PROCEED)“ ახორციელებს HEKS/EPER საქართველოს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ ერთად. პროექტის მიზანია კახეთის რეგიონის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიღარიბის შემცირება. პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროს 2020 წლის თებერვალში ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, ქალბატონი რაილი მენგელი ეწვია. ესტონელი სტუმარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო და

ჩაატარა სემინარი თემაზე „ტურისტული ასოციაციები სოფლად: შესაძლებლობების განვითარება და ქსელური მუშაობა“. ასევე, ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციამ და მისმა ექსპერტებმა შეიმუშავეს დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის სტრატეგიული გეგმა 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდისთვის. სტრატეგიული გეგმა ორ ენაზე - ქართულსა და ინგლისურზე არის ხელმისაწვდომი; ორივე ვერსია დაიბეჭდა და ასოციაციის წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ.

პროექტის ფარგლებში ტურიზმის ბიზნესში ჩართულმა 12 პირმა გაიარა ტრენინგი „სოფლის ტურიზმის საფუძვლები“, ხოლო 15-მა - ტრენინგი თემაზე „კულინარია და მცირე რესტორნების მენეჯმენტი“.

2020 წლის თებერვალსა და ოქტომბერში დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრთა საერთო კრება გაიმართა. შეხვედრისთვის მომზადდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურიზმის სტატისტიკის მიმოხილვა და მომავლის გეგმები დაისახა.

ორგანიზაციული განვითარება

■ სტრატეგიული დაგეგმვის სემინარები

რა

„ელკანამ“ თებერვალსა და სექტემბერში სტრატეგიული დაგეგმვის სემინარები ჩაატარა. მათი მიზანი იყო 2021-2024 წლებისთვის „ელკანას“ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. დაგეგმვის პირველ სემინარში „ელკანას“ მართვის ჯგუფი და „ელკანას“ წამყვანი ექსპერტები მონაწილეობდნენ, ხოლო სექტემბერში, საბოლოო კორექტივების შეტანის შემდეგ, დასრულებული

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დასამტკიცებლად „ელკანას“ გამგეობას წარედგინა. სტრატეგიული დაგეგმვის სემინარის შემდეგ გაიმართა გამგეობის სხდომა და საველე გასვლები „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში სოფელ ზემო ხოდაშენში და „ელკანას“ გამგეობის წევრ გიორგი ალადაშვილის ბიოდინამიკურ მეურნეობაში სოფელ რუისპირში.

სად
კახეთი, ყვარლის ედემი და ლოპოტა

როდის
25-28 თებერვალი და 1-5 სექტემბერი

პუბლიკაციები

- ფერმერის კალენდარი ჩანაწერებისათვის









- კალენდარი **2021**



- სოფლის ტურიზმის სტანდარტი

წლიური შემოსავალი და ხარჯები

ვალუტა: ევრო

	Year 2020
საწყისი ნაშთი	672,847
შემოსავალი	
Brot fur die welt	198,600
EPER	150,039
FAO	26,027
BP	41,378
AGREEN	40,637
Europe Foundation	6,093
ECVC	10,229
GRETA	52,231
საწევრო შენატანები	1,146
შემოწირულობა	3,884
სხვა შემოსავალი	85,607
მთლიანი შემოსავალი	**1,416,346**
ხარჯები	
პროექტის ხარჯები	499,877
Iინვესტიციები, თანადაფინანსება	18,735
ადმინისტრაციული ხარჯები	149,051
სხვა ხარჯები	20,879
მთლიანი ხარჯი	**688,542**
საბოლოო ნაშთი	600,176

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი